ნასყიდობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

1 მოქმედების სფერო

1.1 წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „მაგთიკომის“ (შემდგომში - მაგთიკომი) - იურიდიული პირის, ს/კ 204876606, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N7, 0186, ოფიციალური ვებგვერდის მისამართი: www.magticom.ge, ცხელი ხაზის ნომერი: 11 00 11, 217 00 00, ნასყიდობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობებს (შემდგომში - სტანდარტული პირობები), რომელიც შედგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, მომხმარებელთა უფლებების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და არეგულირებს მაგთიკომსა და მომხმარებლებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას წარმოშობილ ურთიერთობებს.

1.2 სტანდარტული პირობები წარმოადგენს ზოგად წესებს, რომელიც ვრცელდება მაგთიკომის ოფისებში, წარმომადგენლებთან (დილერებთან) და დისტანციურად გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებებზე, იმ დამატებების ან გამონაკლისების გათვალისწინებით, რაც განსაზღვრულია სტანდარტული პირობებით ან კონკრეტული ნასყიდობის ხელშეკრულები სპეციფიკური პირობებით.

1.3 სტანდარტული პირობები, ხელშეკრულება, კონკრეტულ საქონელზე ვებგვერდზე გამოქვეყნებული პირობები და სხვა დაკავშირებული გარიგებები წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას.

1.4 ნასყიდობის ხელშეკრულებას და სტანდარტულ პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას, უპირატესი ძალა ენიჭება და მოქმედებს ხელშეკრულებით ან კონკრეტულ ნასყიდობის საგანზე დადგენილ პირობებს. სტანდარტული პირობები არ ვრცელდება იმ საქონელზე, რომლის ღირებულება არ აღემატება 30 ლარს.

1.5 სტანდარტულ პირობებში გამოყენებული ტერმინი - “თქვენ” (მოცემული სიტყვის ყველა შესაძლო ვარიაციით) აღნიშნავთ თქვენ – ფიზიკურ, სრულწლოვან, ქმედუნარიან პირს, რომლის სახელითაც ხდება მოცემულ პირობებზე დათანხმება.

2 ხელშეკრულების გაფორმება

2.1 ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებულად ჩაითვლება: წერილობითი ხელშეკრულების შემთხვევაში - თქვენი მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმოწერის და ნასყიდობის საფასურის გადახდის მომენტიდან, ხოლო დისტანციურად შეძენისას - დისტანციური არხით (ვებგვერდი, პორტალი) დათანხმების (თანხის გადახდით ან სხვა ქმედებით, რომელიც დაადასტურებს თქვენს ნებას კონკრეტული საქონლის შეძენაზე) მომენტიდან.

2.2 თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, ხელშეკრულება იმოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებამდე.

2.3 მაგთიკომისთვის ცნობილი თქვენი საკონტაქტო ნომრიდან/ელ. ფოსტიდან/პორტალის ანგარიშიდან მიღებული თანხმობა მიიჩნევა თქვენს მიერ ნების გამოვლენად, უთანაბრდება პირად/ფიზიკურ ხელმოწერას და ექნება იგივე იურიდიული (სამართლებრივი) ძალა. თქვენსა და მაგთიკომს შორის, მათ შორის სხვა ხელშეკრულებით შეთანხმებული ფორმით გამოხატული ნება (მაგ. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ფარგლებში გადაცემული აპარატურის ან პორტალის ან სააბონენტო ნომრის მეშვეობით და ა.შ.) მიიჩნევა თქვენი სახელით შესრულებულად.

2.4 ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგთიკომის მიერ შეთავაზებული კონკრეტული საქონლის შეძენის ხელშეკრულების გაფორმებისა და ნების გამოვლენის ფორმას განსაზღვრავს მაგთიკომი.

2.5 საქონლის არსებითი მახასიათებლების შესახებ, ინფორმაცია (ფასი, გარანტია, თვისებები, ზომა, ტრანსპორტირება, ხარჯები, გადაგზავნა, ხელშეკრულების ვადა და ა. შ.) მითითებულ იქნება უშუალოდ ხელშეკრულებაში ან/და მაგთიკომის ვებგვერდზე.

3 საქონლის გადაცემა

3.1 თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, ოფისში გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში საქონელს მიიღებთ თანხის გადახდისთანავე, ხოლო დისტანციურად შეძენისას - თანხის გადახდიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.2 თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, საქონლის დისტანციურად შეძენისას, ასევე უნდა გააფორმოთ შეკვეთა საქონლის გაგზავნაზე, რა დროსაც საქონლის საფასურს დაემატება საკურიერო/საფოსტო მომსახურების საფასური (რომელიც მითითებული იქნება ხელშეკრულებაში ან ვებგვერდზე). გაითვალისწინეთ, რომ საქონლის შეძენამდე უნდა გადაამოწმოთ შესაძლებელია თუ არა თქვენთვის სასურველ მისამართზე საქონლის მიწოდება.

3.3 ოფისში შეძენისას ადგილზე უნდა გადაამოწმოთ საქონლის ვარგისიანობა.

3.4 დისტანციურად გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში, საქონლის ვარგისიანობა უნდა გადაამოწმოთ მისი მიღების დღეს და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 14 დღისა უნდა შეატყობინოთ მაგთიკომს.

3.5 საქონლის თქვენთვის გადაცემის მომენტიდან თქვენზე გადმოდის მისი შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი. საქონლის გადაცემად ითვლება მაგთიკომის წარმომადგენლის მიერ საქონლის თქვენთვის გადმოცემა, ხოლო დისტანციურად შეძენისას კურიერის მიერ თქვენთვის ან თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე მყოფი პირისათვის საქონლის ჩაბარება.

3.6 საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამის საქონლად მიიჩნევა, თუ იგი შეესაბამება ხელშეკრულებაში ან/და ვებგვერდზე მითითებულ აღწერას.

4 განცხადებები და გარანტიები

4.1 ხელშეკრულების გაფორმებისას თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ:

4.1.1 თქვენს მიერ მაგთიკომისთვის მიწოდებული/მითითებული მონაცემები არის ნამდვილი და სწორი, ხოლო მისი ცვლილების შემთხვევაში აცნობებთ მაგთიკომს;

4.1.2 თქვენი ქმედება არ არის/არ იქნება მიმართული მაგთიკომის მოტყუებისაკენ ან სტანდარტული პირობებით/ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების ბოროტად გამოყენებისაკენ;

4.1.3 კეთილსინდისიერად, სრულად და ჯეროვნად შეასრულებთ სტანდარტული პირობებით/ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და ისარგებლებთ თქვენი უფლებებით;

4.1.4 გაგაჩნიათ სრული უფლებამოსილება გააფორმოთ ხელშეკრულება და შეასრულოთ მისგან გამომდინარე უფლება-მოვალეობები;

4.1.5 გაქვთ შესაძლებლობა შეასრულოთ სტანდარტული პირობებიდან/ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფინანსური ვალდებულებები;

4.2 თქვენთვის ცნობილია, რომ:

4.2.1 ყალბი/არასწორი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას, და შესაძლოა გამოიწვიოს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა ან/და შესაბამისი პასუხისმგებლობა;

4.2.2 საქონელს ყიდულობთ მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის და მაგთიკომის შესაბამისი თანხმობის გარეშე არ გამოიყენებთ ნებისმიერი სხვა, მათ შორის კომერციული მიზნებით;

4.2.3 თქვენს მიერ სტანდარტული პირობებით/ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, პირობების, ან/და მოთხოვნების შეუსრულებლობამ ან არაჯეროვანმა შესრულებამ შესაძლებელია გამოიწვიოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

4.3 თქვენ აცხადებთ, რომ აცნობებთ მაგთიკომს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს თქვენს განცხადებებთან და გარანტიებთან ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა.

4.4 თქვენ აცნობიერებთ, რომ თქვენი განცხადებები და გარანტიები წარმოადგენს ხელშეკრულების გაფორმების/სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყების/არსებობის საფუძველს და იმ შემთხვევაში, თუ თქვენს მიერ დაირღვევა განცხადებები ან გარანტიები, ასეთი დარღვევისაგან წარმოშობილ ზიანზე თქვენ შეუზღუდავად და სრულად იქნებით პასუხისმგებელი და მაგთიკომს უფლება ექნება შეწყვიტოს ნებისმიერი სახის მომსახურება ან/და სახელშეკრულებო ურთიერთობა.

5 საქონლის გარანტია

5.1 თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნება საგარანტიო მომსახურება, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ საგარანტიო მომსახურებით, მისი მოქმედების პერიოდში და საგარანტიო ფურცლით (ტალონით) ან ხელშეკრულებით, ან ვებგვერდზე განსაზღვრული კონკრეტული პირობებით.

5.2 საქონელს შესაძლოა თან ახლდეს ან ვებგვერდზე იყოს გამოქვეყნებული ექსპლუატაციის ინსტრუქცია, რა დროსაც თქვენ განუხრელად უნდა დაიცვათ იგი საქონლის მოხმარებისას.

5.3 გარკვეული სახის საქონლის თავისებურების გათვალისწინებით, შესაძლოა მაგთიკომმა ვებგვერდზე გამოაქვეყნოს საქონლის მოხმარების სპეციფიკური წესები. ასეთ შემთხვევაში, თქვენ უნდა გაეცნოთ ასეთ წესებს და დაიცვათ იგი საქონლის მოხმარებისას.

5.4 გაითვალისწინეთ, რომ საგარანტიო მომსახურება არ განხორციელდება ან გაუქმდება, თუ: გასულია საგარანტიო ვადა; საგარანტიო ტალონი (არსებობის შემთხვევაში) არ არის წარმოდგენილი (დაკარგულია); საგარანტიო ტალონში მონაცემები შეცვლილია, წაშლილია ან გადაკეთებულია; საგარანტიო ტალონში და მოწყობილობის კორპუსზე არ იკითხება ან ამძვრალია სერ/ნომერი, მოწყობილობას აღენიშნება ვიზუალური და მექანიკური დაზიანება/დეფექტი; საქონელი გამოიყენებოდა მისი დანიშნულების შეუსაბამო მიზნ(ებ)ით; საქონელი გამოიყენებოდა არასაყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის; დაზიანებულია ან ამძვრალია პლომბი ან ლუქი; დაზიანება გამოწვეულია კომპიუტერული

ვირუსის ან შეუსაბამო ფაილ(ებ)ის მიერ; დაზიანება გამოწვეულია ელ. ქსელის გაუმართაობით (ძაბვის ცვლილება), მექანიზმის დანესტიანებით, კოროზიით, მაღალი ან დაბალი ტემპერატურის ზემოქმედებით, ექსპლუატაციის და შენახვის წესების/პირობების დარღვევით, 5.2 და 5.3 პუნქტებში მითითებული ექსპლუატაციის წესების დარღვევით, არაკომპეტენტური პირის მიერ ჩატარებული არაკვალიფიციური სარემონტო/სამონტაჟო სამუშაოების შედეგად.

5.5 მაგთიკომის კომერციული გარანტია არ ზღუდავს კანონმდებლობით დადგენილ თქვენს უფლებებს.

5.6 თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში კომერციული გარანტია მოწოდებულ იქნება წერილობით ან ვებგვერდზე ლინკის მითითებით ან სხვა ფორმით.

6 ხელშეკრულებაზე უარის თქმა

6.1 საქონლის შეძენამდე/შეკვეთის გაფორმებამდე თქვენ ყურადღებით უნდა გაეცნოთ ამ წესებს, ხელშეკრულებას, საქონლის აღწერილობას, მისი გაგზავნის პირობებს, რადგან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მასზე უარის თქმის უფლებას დაკარგავთ, თუ სტანდარტული პირობებით ან ხელშეკრულებით არ იქნება დადგენილი სტანდარტული პირობებისაგან განსხვავებული პირობა.

6.2 ხელშეკრულებაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ შემთხვევაში, თუ საქონელს აღმოაჩნდება ნაკლი. საქონელი ჩაითვლება ნაკლის მქონედ თუ იგი უვარგისია ჩვეულებრივი სარგებლობისათვის ან შეუსაბამო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. თუ საქონლის გადაცემის დროს ან საგარანტიო პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქონელს აღმოაჩნდება ნაკლი, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ მაგთიკომს, მაგრამ არაუგვიანეს 14 დღის ვადაში და უფლება გაქვთ მოითხოვოთ ნაკლის გამოსწორება ან უარი თქვათ ხელშეკრულებაზე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ვეღარ ისარგებლებთ ნაკლის გამოსწორების/ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით. მიუხედავად ამ პუნქტში აღნიშნულისა, თუ ხელშეკრულება დადებულია დისტანციურად ან საწერის გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ უფლება აქვს 14 დღის ვადაში უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

6.3 ხელშეკრულებაზე უარის თქმისას წერილობით ან ელ. ფოსტის საშუალებით უნდა მიმართოთ მაგთიკომს და მიუთითოთ შემდეგი ინფორმაცია:

- 6.3.1 თქვენი სახელი და გვარი;
- 6.3.2 თქვენი პირადი ნომერი;
- 6.3.3 თქვენი ფაქტობრივი მისამართი;
- 6.3.4 თქვენი ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი (არსებობის შემთხვევაში);
- 6.3.5 შეკვეთის თარიღი;
- 6.3.6 შეკვეთის მიღების თარიღი;
- 6.3.7 ფორმის შევსების თარიღი;
- 6.3.8 ხელმოწერა (თუ ფორმა ქაღალდზეა შევსებული).

6.4 თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში, მაგთიკომი თქვენს მიერ შევსებულ ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმის ჩაბარებას დაგიდასტურებთ ასლზე ხელმოწერით (თუ ფორმა ქაღალდზეა შევსებული) ან ელ. ფოსტაზე გამოგზავნილი დასტურით, თუ ფორმა მიწოდებულ იქნა ელ. ფოსტის საშუალებით.

6.5 თუ ნაკლის გამოსწორება/შეცვლა შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს, მაგთიკომი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მოითხოვოს საქონლის დაბრუნება, ხოლო საქონლის 6.9 პუნქტით დადგენილი წესით დაბრუნების შემთხვევაში, დაგიბრუნდებათ გადახდილი თანხა.

6.6 ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან სტანდარტული პირობების 6.7 და 6.8 პუნქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებების გამოყენების თაობაზე უნდა მიმართოთ მაგთიკომს 6.3 პუნქტით დადგენილი ფორმითა და წესით და 6.2 პუნქტით დადგენილ ვადაში, სხვა შემთხვევაში დაკარგავთ ხელშეკრულებაზე უარის თქმის და 6.7 და 6.8 პუნქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებებს.

6.7 ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ საქონლის ფასის შემცირება ან უარი თქვათ ხელშეკრულებაზე, თუ:

- 6.7.1 საქონლის შეკეთება ან შეცვლა შეუძლებელია; ან
- 6.7.2 მაგთიკომმა 30 დღის ვადაში (თუ ხელშეკრულებით სხვა ვადა არ იქნება დადგენილი) არ შეაკეთა ან არ შეცვალა და თქვენ ხელშეკრულების შესრულებისადმი ინტერესი დაკარგეთ; ან
- 6.7.3 საქონლის შეკეთება ან შეცვლა მომხმარებელს მნიშვნელოვან შეფერხებას შეუქმნის.

6.8 მაგთიკომის მიერ 30 დღის ვადაში (თუ ხელშეკრულებით სხვა ვადა არ იქნება დადგენილი) ნაკლის არ გამოსწორების ან გამოსწორებაზე უარის თქმის შემთხვევაში, თქვენ უფლება გაქვთ:

- 6.8.1 ნაკლის აღმოფხვრა შესთავაზოთ სხვა პირს და მოითხოვოს მაგთიკომისაგან გაწეული გონივრული ხარჯის ანაზღაურება; ან
- 6.8.2 მოითხოვოთ საქონლის შეცვლა; ან
- 6.8.3 მოითხოვოთ ფასის ადეკვატური შემცირება; ან

6.8.4 უარი თქვათ ხელშეკრულებაზე.

6.9 ხელშეკრულებაზე უარის თქმის შეტყობინებიდან 7 დღის ვადაში, თქვენი ხარჯით, უნდა დააბრუნოთ საქონელი. დაბრუნებული საქონელი არ უნდა იყოს ფიზიკურად დაზიანებული. აღნიშნულ ვადაში საქონლის არ დაბრუნების ან დაზიანებული საქონლის დაბრუნების შემთხვევაში, თქვენ დაკარგავთ 6.7 და 6.8 პუნქტებში მითითებულ უფლებებს, მათ შორის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას. სარეწის გარეთ გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც საქონელი თქვენ სახლში მოგეწოდათ, მაგთიკომი ვალდებულია საქონელი საკუთარი ხარჯით წაიღოს უკან, თუ, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, მისი ფოსტით გაგზავნა შეუძლებელია.

6.10 ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, თქვენს მიერ გადახდილი თანხა და არსებობის შემთხვევაში – მიწოდების გონივრული ხარჯი დაგიბრუნდებათ საქონლის 6.9 პუნქტის შესაბამისად მაგთიკომისთვის დაბრუნებიდან 14 დღის განმავლობაში. ამასთან, მაგთიკომი ვალდებული არ არის, დაგიბრუნოთ იმ დამატებითი ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხა, რომელიც დაკავშირებულია თქვენს მიერ არასტანდარტული ან მაგთიკომის მიერ შეთავაზებული მიწოდების მომსახურებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურების არჩევასთან. თანხა ანაზღაურდება იმავე საშუალებებით, რომლებიც თქვენ გამოიყენეთ მისი შეძენისას ან თქვენთან შეთანხმებული სხვა ფორმით.

6.11 თქვენ უფლება არ გაქვთ, უარი თქვათ ხელშეკრულებაზე, თუ საქონლის ნაკლი უმნიშვნელოა.

6.12 დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმა, ავტომატურად იწვევს დაკავშირებული ხელშეკრულებიდან თქვენს გასვლას და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

6.13 ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად ქარწყლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ის, რაც მხარეებმა მისი შესრულებით მიიღეს, მათ უბრუნდებათ.

7 ანგარიშსწორება

7.1 საქონლის შეძენისას შესაძლოა შემოთავაზებული იყოს ანგარიშსწორების სხვადასხვა მეთოდი (მაგ. საბანკო ბარათი, თანხის ჩამოჭრა თქვენი სააბონენტო ანგარიშიდან და ა.შ.), რა შემთხვევაშიც თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ თქვენთვის სასურველი მეთოდი.

7.2 თუ ხელშეკრულებით ან კონკრეტულ საქონელზე ვებგვერდზე შეთავაზებული პირობებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, ანგარიშსწორება უნდა განახორციელოთ საქონლის შეძენის მომენტში.

7.3 მესამე პირთა (სწრაფი გადახდის აპარატები, ბანკები და სხვა.) მიერ შეთავაზებული სერვისის საშუალებით ანგარიშსწორების, პირობები და წესები, მათ შორის, მათი სერვისის საფასური/საკომისიო და ჩასარიცხი თანხის მინიმალური ოდენობა, დგინდება ასეთი მომსახურების გამწევი მესამე პირების მიერ და იგი სცილდება მაგთიკომის პასუხისმგებლობის ფარგლებს.

7.4 თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საფასურის გადახდა განვადებით ან შეკვეთის გაფორმებიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ და თქვენს მიერ დარღვეულ იქნება ანგარიშსწორების პირობა, ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად და უნდა აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა.

8 მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1 თქვენ უფლება გაქვთ:

8.1.1 ვებგვერდის და ცხელი ხაზის საშუალებით მიიღოთ ინფორმაცია შეთავაზებული საქონლის საფასურის და სხვა პირობების შესახებ;

8.1.2 მიმართოთ მაგთიკომს პრეტენზიით, ზეპირი ან წერილობითი ფორმით;

8.1.3 ისარგებლოთ საგარანტიო პირობებით, ასეთი არსებობისას;

8.2 თქვენ ვალდებული ხართ:

8.2.1 შეასრულოთ ხელშეკრულებით, სტანდარტული პირობებით და სხვა შეთანხმებებით განსაზღვრული ვალდებულებები, პირობები და მოთხოვნები;

8.2.2 შეატყობინოთ მაგთიკომს თქვენი საკონტაქტო მონაცემების, მათ შორის მინდობილობის ცვლილების ან გაუქმების შესახებ;

8.2.3 გადაიხადოთ საქონლის ღირებულება;

8.2.4 გადაიხადოთ საკურიერო/საფოსტო მომსახურების ღირებულება, ასეთი მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში.

8.3 მაგთიკომს უფლება აქვს:

8.3.1 ცხელ ხაზზე დარეკვისას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და თქვენი წინასწარი ინფორმირების საფუძველზე, განახორციელოს მაგთიკომის წარმომადგენელსა და თქვენს შორის მიმდინარე კომუნიკაციის ჩაწერა;

8.3.2 მომხმარებელთა მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების თავიდან აცილების მიზნით, დაადგინოს ერთ პირზე მისაღები/გასაყიდი საქონლის მაქსიმალური ოდენობა და უარი უთხრას ნებისმიერ მომხმარებელს საქონლის შეძენაზე, თუ ასეთი მომხმარებელი არაკეთილსინდისიერად ისარგებლებს ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებებით.

8.3.3 ცალმხრივად შეცვალოს სტანდარტული პირობები ან ხელშეკრულების პირობები.

8.4 მაგთიკომი ვალდებულია:

8.4.1 გადმოგცეთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონელი;

8.4.2 დაიცვას თავის მიერ გაცემული კომერციული გარანტია, მათ შორის, საქონლის ან მომსახურების რეკლამაში მოცემული პირობები;

8.4.3 განიხილოს თქვენი პრეტენზია, ხოლო მისი დასაბუთებულად მიჩნევის შემთხვევაში, გონივრულ ვადაში გამოასწოროს ხარვეზი;

8.4.4 თუ სტანდარტული პირობების ან ხელშეკრულების პირობების ცვლილება აუარესებს თქვენს უფლებრივ მდგომარეობას, შეგატყობინოთ ცვლილების თაობაზე, შეცვლილი პირობების გაცნობის შესაძლებლობაზე მითითებით.

9 პერსონალური მონაცემების დამუშავება

9.1 ხელშეკრულების გაფორმებისას მაგთიკომი მონაცემთა ბაზაში არეგისტრირებს თქვენს პერსონალური ინფორმაციას (სახელს/გვარს, პირად ნომერს და სხვა ინფორმაციას, რითაც შესაძლებელია აბონენტის იდენტიფიცირება). ამასთან, მაგთიკომი არ გამორიცხავს, რომ თქვენი პერსონალური ინფორმაცია მაგთიკომის პროცესების და გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფების სისტემების ფუნქციონალური სპეციფიკის გათვალისწინებით მის მონაცემთა ბაზაში დაგვიანებით დაფიქსირდეს/აისახოს.

9.2 თქვენი იდენტიფიცირების, შეკვეთილი საქონლის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით მაგთიკომს ესაჭიროება თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება, მაგ. სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, სქესი, ასაკი, პირადი და საკონტაქტო ნომერი, მისამართი.

9.3 ხელშეკრულებაზე ხელმოწერით/დადასტურებით თქვენ აცხადებთ ინფორმირებულ თანხმობას პერსონალური მონაცემები დამუშავდეს მაგთიკომის მიერ, ისევე როგორც გადამოწმდეს შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს/პირის მონაცემთა ბაზაში მაგთიკომთან დაცული მონაცემების სისწორის/ვალიდურობის დადასტურების ან თქვენი იდენტიფიცირების ან მის შესახებ არსებული მონაცემების მოპოვების მიზნით.

9.4 თქვენ თანახმა ხართ, რომ ელექტრონული ხელმოწერის განსახორციელებლად გამოყენებული სისტემების ფუნქციონირებისათვის, ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობის და უტყუარობის დასადგენად, მაგთიკომი უფლებამოსილია თავად ან/და მესამე პირის მეშვეობით განახორციელოს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება, რაც ასევე გულისხმობს თქვენს თანხმობას თქვენი ბიომეტრიული მონაცემების (ხელმოწერის) დამუშავებაზე.

9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად, ოპერატორს შესაძლოა დასჭირდეს პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნება მესამე პირებზე, ეს შეიძლება უკავშირდებოდეს მაგალითად, თქვენს მიერ მოთხოვნილი საქონლის მიწოდებას ან დავალიანების რეპორტინგს.

9.6 მაგთიკომის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, გამოყენების, გადაცემის და შენახვის სხვა პირობები, მათ შორის დამუშავების საფუძვლები და თანხმობის გამოხმობის წესები, დეტალურად მოცემულია „კონფიდენციალურობის პოლიტიკაში“ და მაგთიკომი იღებს ვალდებულებას პერსონალური მონაცემები დაამუშაოს ხელშეკრულების და „კონფიდენციალურობის პოლიტიკის“ შესაბამისად.

9.7 თქვენ უფლება გაქვთ მაგთიკომისთვის მიმართვის გზით ნებისმიერ დროს მოითხოვოთ ხელშეკრულების პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, რა დროსაც თქვენ აცნობიერებთ, რომ ამ ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ცალკეული მომსახურების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტა.

10 მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 მაგთიკომი აგინაზღაურებთ თქვენ ზიანს, მაგთიკომის დადასტურებული ბრალეულობისას, მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად და რომელიც გამოწვეული იქნება მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებელი ქმედებით. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მაგთიკომისთვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

10.2 გარდა სტანდარტული პირობებით ან ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოქმედი კანონმდებლობით არის დაშვებული, არცერთი არც თქვენ და არც მაგთიკომი არ არის პასუხისმგებელი არაპირდაპირ ზიანისათვის, მათ შორის, წარმოების ან საქმიანობის შეჩერების, მონაცემთა დაკარგვის, მიუღებელი სარგებლის ან ნაყოფის ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის.

10.3 სტანდარტული პირობებით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირგასამტეხლოს/საურავის/ჯარიმის/ზიანის/კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზება ხორციელდება მხოლოდ მოთხოვნის საფუძველზე და წარმოადგენს მხარეთა უფლებას და არა ვალდებულებას დამრღვევი მხარის მიმართ.

10.4 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება

გამოწვეულია ისეთი სახის გარემოებებით (დაუძლეველი ძალა), რომელიც წარმოიშვა მხარის დამოუკიდებელი მიზეზებით და არ ექვემდებარება მის გონივრულ კონტროლს ან ნებას (ფორს-მაჟორული გარემოებები).

10.5 ფორს-მაჟორული გარემოებები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი სახის მოვლენებით: სტიქიური უბედურებები, ბუნებრივი კატაკლიზმები და მოვლენები, მათ შორის, მიწისძვრა, სეტყვა, მეწყერი, წყალდიდობა, დიდთოვლობა, ხანძარი, ეპიდემია ან პანდემია, გაფიცვა, ლოკაუტი, მასობრივი არეულობა, საბოტაჟი, კრიმინალური ან ტერორისტული აქტი, ოფიციალურად გამოცხადებული, ან გამოუცხადებელი საომარი მოქმედებები და შეიარაღებული კონფლიქტები, საგანგებო, ან საომარი მდგომარეობები, ბლოკადა, ემბარგო, კიბერშეტევა, ჰაკერული თავდასხმა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მოქმედებები, სანქციები ან აქტები, მიმწოდებლების, კონტრაქტორების ან ქვეკონტრაქტორების მიზეზით გამოწვეული შემთხვევები, მათ შორის, მიმწოდებლების, კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა, კიბერდანაშაული, უჩვეულო ან არაპროგნოზირებადი გადატვირთვები, შეფერხებები, ან ხელმიუწვდომლობა, რომელთა ადმინისტრირება ან კონტროლი ხორციელდება მესამე პირთა მიერ.

11 <u>კომუნიკაცია თქვენსა და მაგთიკომს შორის</u>

11.1 მაგთიკომი თქვენთან კომუნიკაციას ახორციელებს ვებგვერდის, პორტალის, თქვენი საკონტაქტო ნომრის/ელ. ფოსტის საშუალებით.

11.2 თქვენ შეგიძლიათ მაგთიკომთან კომუნიკაცია განახორციელოთ ცხელი ხაზის ნომერზე/ელ. ფოსტაზე/პორტალზე (არსებობის შემთხვევაში სხვა დისტანციური არხებით) დაკავშირებით, ან მაგთიკომის ოფისებში განცხადების წარდგენით.

11.3 თქვენი საკონტაქტო მონაცემებიდან კავშირისას (ზარი, USSD, მოკლე ტექსტური შეტყობინება ან მაგთიკომის მიერ განსაზღვრული სხვა ფორმა) ან თქვენი იდენტიფიცირებისათვის საჭირო ინფორმაციის (მაგთიკომის მიერ მოთხოვნილი რამდენიმე კომპონენტის დასახელება) დასახელებით ნებისმიერი სხვა ნომრიდან მაგთიკომის საინფორმაციო ნომერზე დარეკვისას ან პორტალიდან ან სხვა დისტანციური არხ(ებ)იდან დაკავშირებისას, მიუხედავად იმისა თუ ვინ ახორციელებს შესაბამის კომუნიკაციას, ჩაითვლება, რომ ნებისმიერი მოთხოვნილი ქმედება ხორციელდება თქვენი ნებითა და სურვილით. თქვენ ხართ სრულად პასუხისმგებელი დისტანციურ არხ(ებ)ში ავტორიზაციისთვის საჭირო მონაცემებისა და პაროლების უსაფრთხოდ შენახვაზე/დაცვაზე.

11.4 თქვენთან გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება/ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება მიღებულად მიიჩნევა ასეთი შეტყობინების გაგზავნის დადასტურების ფაქტით, შეტყობინების ფიზიკურად მიღების მიუხედავად.

11.5 თქვენთან გამოგზავნილი ხმოვანი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება თქვენს მიერ მისი მოსმენიდან (იმ შემთხვევაშიც, თუ თქვენ ბოლომდე არ მოუსმენთ შეტყობინებას), ან თუ არ უპასუხებთ ასეთ შეტყობინებას სამჯერ გაგზავნის შემთხვევაში.

11.6 წერილობითი შეტყობინება ასევე მიღებულად ითვლება, თუ შეტყობინება მაგთიკომს დაუბრუნდება თქვენი ადგილსამყოფლის არარსებობის ან არასწორი/არასრული ან დაუდგენელი მისამართის გამო, ან თქვენ უარს განაცხადებთ/თავს აარიდებთ შეტყობინების მიღებას.

11.7 სხვა ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება თქვენს მიერ ინფორმაციის მიღების ფაქტის დადასტურებით (მაგ.: თანხმობის ღილაკზე დაჭერით).

11.8 ნებისმიერი საშუალებით თქვენთან გამოგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად, მიუხედავად იმისა, თქვენს მიერ მოხდება თუ არა ასეთი შეტყობინების შინაარსის ფიზიკურად წაკითხვა/მოსმენა.

11.9 ვინაიდან პორტალის ან სხვა დისტანციური არხის გამოყენებისას მაგთიკომის მიერ ვერ ხორციელდება თქვენი თანადროული კონსულტირება კონკრეტულ ოპერაციასთან/ქმედებასთან დაკავშირებით და ასეთ დროს თქვენ თავად წარმართავთ პროცესს, მისგან გამომდინარე შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენ. თუ დისტანციურ არხში მოცემული ინფორმაცია არ იქნება სათანადოდ აღქმადი, ქმედების განხორციელებამდე უნდა დაუკავშირდეთ მაგთიკომს და მიიღოთ ამომწურავი/დეტალური ინფორმაცია. თუ თქვენ არ ისარგებლებთ ამ უფლებით ჩაითვლება, რომ თქვენ სათანადოდ/დეტალურად აღიქვით დისტანციური არხის მეშვეობით განხორციელებული ქმედების შინაარსი, იგი არ ყოფილა დამაბნეველი ან შეცდომაში შემყვანი, გაცნობიერებულად გსურდათ მისი ქმედებიდან გამომდინარე შედეგი და შესაბამისად, თქვენ არ შეიძლება მომავალში ჰქონდეს რაიმე სახის პრეტენზია თუ მოთხოვნა ამ ფაქტთან დაკავშირებით.

11.10 პორტალის ფუნქციონირების თავისებურებებიდან გამომდინარე, მაგთიკომს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს პორტალით სარგებლობის პირობები, ვიზუალური მხარე, მისამართი, მართვის და ფუნქციონირების წესი, დაამატოს ან გამოაკლოს პორტალის ფარგლებში გათვალისწინებული სერვისები წინასწარი შეტყობინების გარეშე, ხოლო პორტალზე დარეგისტრირებული მომხმარებლის მიერ პორტალით სარგებლობა ავტომატურად ნიშნავს ამ შეცვლილი პირობებისადმი დათანხმებას. მაგთიკომი გარანტიას არ იძლევა, რომ პორტალი ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერ

დროს, ამასთან პორტალით სარგებლობისას არ არსებობს მხარეთა შორის პორტალის ხელმისაწვდომობის ხარისხის შესახებ შეთანხმება.

11.11 ძირითადად კომუნიკაცია მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ისევე, როგორც შეტყობინებები მაგთიკომის მიერ გამოგზავნილ იქნება ქართულ ენაზე ან ქართულ ენაზე ტრანსლიტერირებული ლათინური ასოებით.

12 პრეტენზიის წარდგენის წესები

12.1 თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ მაგთიკომს საჩივრით (ზეპირი ან წერილობითი ფორმით). წერილობითი პრეტენზია უნდა წარედგინოს/მიეწოდოს მაგთიკომს მისამართზე ან მაგთიკომის ოფისში ან ელ.ფოსტაზე.

12.2 საჩივარში უნდა მიუთითოთ თქვენი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია. საჩივარში მკაფიოდ და სრულყოფილად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, თუ რა მიგაჩნიათ მაგთიკომის მხრიდან არასწორ ან არასამართლიან ქმედებად, მოთხოვნა და გარემოებები, რომელსაც მოთხოვნა ეფუძნება.

12.3 საჩივარი გონივრულ ვადაში განხილულ იქნება მაგთიკომის მიერ და გადაწყვეტილება გეცნობებათ საკონტაქტო ნომერზე/ელ. ფოსტაზე.

12.4 მხარეებს შორის უთანხმოების ან დავის წარმოშობისას, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერი დავა განსახილველად მხარის (პრეტენდენტის) არჩევანით შესაძლებელია გადაეცეს სასამართლოს (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წარმოადგენს დავის განმხილველ განსჯად სასამართლოს).

13 დასკვნითი დებულებები

13.1 წინამდებარე სტანდარტული პირობები შესაძლებელია ითარგმნოს სხვა ნებისმიერ ენაზე. ასეთ შემთხვევაში სხვა ენაზე ნათარგმნ პირობებთან შედარებით უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭება სტანდარტული პირობების ქართულ ვერსიას წინამდებარე რედაქციით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობის ცვლილების ან სხვა გარემოების შედეგად, სტანდარტული პირობის/ხელშეკრულების რომელიმე დებულება გაუქმდება, ძალადაკარგულად გამოცხადდება ან ბათილად იქნება მიჩნეული, ეს შეეხება მხოლოდ გაუქმებულ/ბათილ ან ძალადაკარგულ პირობას და იგი გავლენას არ იქონიებს სტანდარტული პირობის/ხელშეკრულების სხვა პირობების ნამდვილობაზე. ამასთან, ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა სტანდარტული პირობით/ხელშეკრულებით (მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

13.3 სტანდარტული პირობების და ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, თუ სტანდარტული პირობების ან/და მისი მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

13.4 სტანდარტული პირობების/ხელშეკრულების მუხლები, პუნქტები, ქვეპუნქტები ან/და დანართები დანომრილი და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს არ აქვს ზეგავლენა მათი დებულებების განმარტებაზე.

13.5 წინამდებარე სტანდარტული პირობები და ხელშეკრულების ნიმუშები ასევე ხელმისაწვდომია მაგთიკომის ვებგვერდზე.